ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №551082

ნომერი: AR1110233

თარიღი : 18.02.2013

გაცემის თარიღი : 20.02.2013

გაცნობის თარიღი : 28.02.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა პეტრიაშვილი , N 46 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარიელ ხიზანიშვილი პ/ნ 01015006993
- თბილისი საადის ჩიხი N 3

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი განცხადების პასუხად გაცნობებთ, იმისათვის, რომ სამსახურმა შეძლოს გადაწყვეტილების მიღება, საჭიროა სამსახურს დამატებით წარმოუდგინოთ მიწის ნაკვეთის საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა (საკადასტრო გეგმა ან საკადასტრო რუკა), რომლის მოსამზადებლად უნდა მიმართოთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და წარუდგინოთ თქვენი მიწის ნაკვეთის აზომვითი ნახაზის ციფრული ვერსია (UTM კოორდინატთა სისტემაში). აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ სამსახური შეძლებს საკითხის განხილვას.
მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს დამატებითი დოკუმენტაციის ველში;

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამსახურისთვის გაურკვეველია მოთხოვნა, ხდება არსებული შენობა–ნაგებობების დემონტაჟი და ახლის განთავსება, თუ რეკონსტრუქცია. გთხოვთ, დახარვეზებულ მოთხოვნის ტექსტში დააკონკრეტოთ მოთხოვნა.

მოთხოვნილი დოკუმენტაცია უნდა აიტვირთოს განაცხადის დამატებითი დოკუმენტაციის ველში მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებისთვის განკუთვნილი ვადა განისაზღვრება 15 სამუშაო დღით. განცხადება სამსახურში შემოსულია 2013 წლის 18 თებერვალს. საკითხის განსახილველად სამსახურმა გამოიყენა 3 სამუშაო დღე. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 15 დღიანი ვადა მოთხოვნის დასაკონკრეტებლად, რომლის შემდეგ სამსახურს დარჩენილი აქვს 12 სამუშაო დღე. თუ სამსახურის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება წარმოდგენილი მოთხოვნილი დოკუმენტაცია, საკითხი დარჩეს განუხილველი.

ამასთან, გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება ხსენებული განაცხადის წარმოდგენის შემდგომ.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.